გადაწყვეტილება

N გ-20-18/728
24/09/2020

728-გ-20-1-4-202009241648

შპს ,,სერვისბოქსისთვის“ (ს/კ 405113176) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვის შესახებ

I. აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში - კომისია) აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (№20-10-1836, 11.09.2020) საფუძველზე კომისიაში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს ,,სერვისბოქსისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვის მიზნით, მის მიერ ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების შესაძლო დარღვევის გამო, ხოლო საკითხის განხილვა დაინიშნა 2020 წლის 24 სექტემბერს, 15:00 საათზე, რის შესახებ კომპანიას ეცნობა წერილობითი შეტყობინებით. შეტყობინებით. მას, ასევე განემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98–ე და 99–ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებების და შუამდგომლობების წარმოდგენის, აგრეთვე, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის უფლების თაობაზე.

2020 წლის 21 სექტემბერს, შპს ,,სერვისბოქსმა“ განცხადებით (შ-20-6/4804, 21.09.2020) მიმართა კომისიას, სადაც აღნიშნულია, რომ 2020 წლის 30 მაისს, შპს ,,სერვისბოქსის“ წილის 80%-ის მფლობელი დ. ჯიქიას ნაცვლად გახდა შპს ,,მალტისოფტი“, რასთან დაკავშირებით წარმოადგენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერს. შპს ,,სერვისბოქსი“, ასევე აღნიშნავს, რომ წილის გასხვისებაზე შპს ,,სერვისბოქსს“ მიღებული აქვს წინასწარი თანხმობა კომისიის 2020 წლის 16 აპრილის № ბ-20 - 11/401 გადაწყვეტილებით. შპს ,,სერვისბოქსი“ ბოდიშს იხდის ინფორმაციის დაგვიანებით წარმოდგენისთვის და ითხოვს, რომ განცხადება მიღებულ იქნეს ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თანხმობად და შეწყდეს შპს ,,სერვისბოქსისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების დარღვევის გამო. 2020 წლის 24 სექტემბერს, შპს ,,სერვისბოქსმა“ კომისიას

ელფოსტით აცნობა, რომ მათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი აქვთ წერილობითი პოზიცია და კომისიის სხდომას მისი წარმომადგენელი არ დაესწრება.

II. კომისიის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები

1. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (№20-10-1836, 11.09.2020).

2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და კომისიის უწყებრივი რეესტრიდან ამონაწერი შპს „სერვისბოქსის“ შესახებ.

3. შპს ,,სერვისბოქსის“ 2020 წლის 21 სექტემბერის განცხადება (შ-20-6/4804, 21.09.2020) და 24 სექტემბრის წერილი.

III. კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

1. შპს ,,სერვისბოქსი“ წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს. შესაბამისად, ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, ის ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები.

2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ 2020 წლის 30 მაისს, შპს ,,სერვისბოქსის“ წილის 80%-ის მფლობელი დ. ჯიქიას ნაცვლად გახდა შპს ,,მალტისოფტი“. წილის მფლობელთა ცვლილებების თაობაზე შპს ,,სერვისბოქსს“ კომისიისთვის არ შეუტყობინებია,

3. ,,შპს „სერვისბოქსის“ (ს/კ 405113176) წილის 80%-ის შპს „მალტისოფტის“ (ს/კ 405059289) მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ“ კომისიის 2020 წლის 16 აპრილის № გ-20 - 11/401 გადაწყვეტილებით შპს ,,სერვისბოქსს“ მიეცა თანხმობა შპს„სერვისბოქსის“ წილის 80%-ის შპს „მალტისოფტის“ მიერ შეძენაზე. ამავდროულად, განემარტა, რომ წილის მფლობელის ცვლილების შემთხვევაში, შპს „სერვისბოქსი“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

4. 2020 წლის 21 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც შპს ,,სერვისბოქსმა“ კომისიისაგან მიიღო შეტყობინება შპს ,,სერვისბოქსის“ მიერ ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების შესაძლო დარღვევის გამო შპს ,,სერვისბოქსისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვის მიზნით კომისიის სხდომის დანიშვნის შესახებ, შპს ,,სერვისბოქსმა“ განცხადებით (შ-20-6/4804, 21.09.2020) მიმართა კომისიას და წარმოუდგინა ინფორმაცია განხორციელებული ცვლილებების თაობაზე.

5. შპს „სერვისბოქსის“ მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მსგავსი/ანალოგიური დარღვევისათვის გამოყენებული არ ყოფილა.

IV. სამართლებრივი საფუძველი და დასაბუთება

1. ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას.

2. ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და სალიცენზიო ან/და სანებართვო პირობების დაცვაზე განახორციელოს ზედამხედველობა და მათი დარღვევისას გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ხოლო 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას. ამავე კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად.

3. ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები, ხოლო გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია თავისი საქმიანობის ან/და მომსახურების მოდიფიცირების, ასევე წილის ან აქციების მფლობელთა ცვლილების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას, რომელსაც ეს ინფორმაცია შეაქვს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში.

4. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის ან ერთი წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა.

კომისიას მიაჩნია, რომ წილის მფლობელთა ცვლილებების თაობაზე შპს ,,სერვისბოქსს" კომისიისთვის უნდა ეცნობებინა ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, რაც მის მიერ არ მომხდარა. შესაბამისად, შპს ,,სერვისბოქსის" მიერ დარღვეულია ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტები, რაც მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. იმის გათვალისწინებით, რომ შპს ,,სერვისბოქსის" მიმართ

ბოლო ერთი წლის განმავლობაში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მსგავსი/ანალოგიური დარღვევისათვის გამოყენებული არ ყოფილა, ის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უნდა გაფრთხილდეს.

კომისია განმარტავს, რომ წილის შეძენის განხორციელებამდე კომისიისაგან წილის შეძენაზე თანხმობის მიღება წარმოადგენს ავტორიზებული პირის ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას. ამასთან, კომისიისაგან წინასაწარი თანხმობის მიღების მიუხედავად, კომპანიას შეუძლია არ განახორციელოს წილის შეძენა და უცვლელი დარჩეს წილის მფლობელები. შესაბამისად, წილის შეძენაზე კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღება არ ათავისუფლებს ავტორიზებულ პირს ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან, კერძოდ, წილის მფლობელთა ცვლილებების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას.

V. სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე, 99-ე მუხლების, ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების, 43-ე, 44-ე და 45-ე მუხლების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მარეგულირებელი წესების 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შპს ,,სერვისბოქსს“ (ს/კ 405113176) მიეცეს გაფრთხილება ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების დარღვევის გამო.

2. გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს ,,სერვისბოქსისთვის" ჩაბარების დღიდან.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) შპს ,,სერვისბოქსისთვის“ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო. ვოტ) აღნიშნული გადაწყვეტილების შპს ,,სერვისბოქსისთვის“ დაუყოვნებლივ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (მე-4 პუნქტის გარდა) დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (ი. ბუთბაია).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

ელისო ასანიძე

წევრი